თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 8 დეკემბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 14

ქ. თერჯოლა

8 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქორიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. კახა ბუცხრიკძე, 18. რამინი რობაქიძე, 19. თამარ აბელედიანი, 20. დავით ცხადაძე, 21. ნატალია ასათიანი, 22. კობა კირკიტაძე, 23. მერაბი ზასილაძე, 24. ლევანი კვატაია, 25. როლანდი მესხი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1.დავით გოგბერაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ამბერკი დოლაკიძე, 4. რუსუდან კოვზირიძე, 5. ივანე ჩუბინიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13⁰⁰ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2821336126 , 2021.02.12 წ.);

   მომხს.: თ.ქორიაშვილი
   თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282134120, 2021 ,07.12);

მომხს.: ზ.ზუცხრიკიძე

3. (სრიგმ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282133641, 02.12.2021 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბერის №29-292036410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282134025, 06.12.2021 წ.);

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

5. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახამარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203647 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282134025, 06.12.2021 წ.);

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

6. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის Nგ-29.292036414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282134025, 06.12.2021 წ.);

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

7. „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2021 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282134025, 06.12.2021 წ.);

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

8. „თერჯოლის მუნიციპალიგტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.2903644 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282134025, 06.12.2021 წ.).

მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქორიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 77.0 ათასი ლარით და შეადგენს 21637.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 77.0 ათასი ლარით (ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელის გეგმა გაიზარდა 77.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა - 188.0 ათასი ლარით, მერიის დაფინანსება შემცირდა 60.0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 12.0 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 28.0 ათასი ლარით. წყალმომარაგება შემცირდა 16.2 ათასი ლარით.გარე განათების ხარჯი შემცირდა 11.8 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 10.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 25.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შემცირდა 15.0 ათასი ლარით. ჯანდაცვის ობიექტების დაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 265.0 ათასი ლარით: დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 260.0 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** როლანდი მესხმა,კახა ბუცხრიკიძემ, მათ შეკითხვები დასვეს დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-20 წინააღმდეგი -5

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 17, 08.12.2021 წ.).

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა გოდერძი თურქაძემ საკრებულოს

წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება და დაემატოს ორი ინფრასტრუქტურული პროექტი :

1. სოფელ ჩხარში ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სათავე რეზერვუარისა და მომწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები;
2. სოფ. სარბევში გზის 400 მ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

**აზრი გამოთქვეს:** როლანდი მესხმა, კახა ზუცხრიკიძემ, მანუჩარ ფანჩულიძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი -5**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29213421, 08.12.2021 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა გოდერძი თურქაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე განკარგულებების პროექტები:

1. საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (ღია ამფითეატრის კეთილმოწყობა) განკარგულების პროექტი - პროექტის სავარაუდო ღირებულება 800 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** კახა ზუცხრიკიძემ, როლანდი მესხმა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -5**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (ღია ამფითეატრის კეთილმოწყობა) განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29213426, 08.12.2021).

2. მომხსენებელმა, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა გოდერძი თურქაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (მეერი, საგვარეულო-

კეთილმოწყობა) განკარგულების პროექტი - პროექტის სავარაუდო ღირებულება 2 000 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** მანუჩარ ფანჩულიძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -5**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვიტარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (ძევრი, საგვარჯილე-კეთილმოწყობა) განკარგულების პროექტი - პროექტის სავარაუდო ღირებულება 2 000 000 ლარი(განკარგულება №გ-29.29213427, 08.12.2021 წ.).

3. მომხსენებელმა, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა გოდერძი თურქაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო (სრიგ3) (სრიგ3) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (ქ. თერჯოლის შემოსასვლელი- კეთილმოწყობა) -პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** მანუჩარ ფანჩულიძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -5**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს (სრიგ3) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე (ქ. თერჯოლის შემოსასვლელის-კეთილმოწყობა) განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29213425, 08.12.2021 წ.).

**4**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.292036410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი მცირდება 9000 (ცხრა ათასი) ლარით და გახდება 41 000 (ორმოცდაერთი ათასი) ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა - 2**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბერის №29-292036410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (განკარგულება №გ-29.29213424, 08.12.2021).

5.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203647 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 280 ლარით და გახდება 9380 (ცხრა ათას სამას ოთხმოცი ) ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** როლანდი მესხმა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-23 , კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -2**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203647 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (განკარგულება №გ-29.29213429, 08.12.2021

6.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №გ-29.292036414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი შემცირდება 280 ლარით და გახდება სამი ათას შვიდას ოცი ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე- 23, **კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -2**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №გ-29.292036414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29213423, 08.12.2021 წ).

7.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2021 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი დაზიანების ნაწილში მცირდება 7000 ლარით და გახდება 73 000 (სამოცდაცამეტი ათასი) ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე- 24, **კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა** -1

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2021 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.29203643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29213422, 08.12.2021 წ).

8.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის" დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.2903644 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ყველა ზემოთ აღნიშნული პროგრამების ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე ამ პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და გახდა - 302 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე- 25, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის" დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N გ-29.2903644 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29213428, 08.12.2021 წ).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი